№ 9 14 იანვარი, ხუთშაბათი. 1866—1882 14 იანვარი, ხუთშაბათი № 9.

რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ

ხელის-მოწერა
მიიღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:
მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით, ასოზე ½ კაპ., [illegible] ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივი ასოთი სტრიქონზე შაური.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

ბიბლიოთეკა

საქართველოს განმანათლებელის წმ. ნინოს დღესასწაულის გამო, ხვალ, პარასკევს გაზეთი არ გამოვა.

ამა 1882 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

## „დროება"

გამოდის იმავე პროგრამმითა და რიგით და იმავ თანამშრომლების დახმარებით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

### ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში: „დროების" რედაქციის კანტორაში, გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა მოითხოვონ გაზეთი Въ Тифлисъ, Въ редакцію газ. „Дроэба".

„დროებაზე" და „ივერიაზე", ორივეზე ერთად, ხელის-მოწერა არ მიიღება.

### ფასი ხელის-მოწერისა:

| | |
|---|---|
| ერთის წლით: . . . . . . 9 მან. | სამის თვით . . . . . . . . 3 „ |
| ნახევარის წლით . . . . . 5 „ | ერთის თვით . . . . . . . 1 „ |

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება. ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. ვითხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი და გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწერონ.

რედაქტორი სერ. მესხი.
გამომცემელი სტ. მელიქიშვილი.

## ტელეგრამმა

([illegible] ტელეგრაფის სააგენტოსი)

პეტერბურგი, 12 იანვარს. „მმართებლობის მოამბე" გვაცნობებს, რომ შესტაკოვი ზღვის სამინისტროს გამგებლად ინიშნება; პესჩუროვი კი შავ-ზღვის ფლოტის კამანდირათ და ქალაქის ნიკოლაევის სამხედრო გუბერნატორად.

პეტერბურგის ბირჟა, 12 იანვარს.
ბანკის ბილეთები: მან. კაპ.
პირველი გამოცემისა — 94— 5
მეორესი — — — — 91—37
მესამესი — — — — 91—37
მეოთხესი — — — 91—37
აღმოსავლეთის პირვ. — 90—50
აღმოსავლეთის მეორე 89—87
აღმოსავლეთის მესამე 90— „
ოქრო, ½ იმპერიალი 7—96
შინაგანის 5% სესხი ბილეთები:
პირველი სესხის — — 216—75½
მეორე სესხის — — 215—75½
100 მანეთი ღირს:
ლონდონი — 24—75 პენსი
ჰამბურგი — 210—75 ცენტი
პარიჟი — — 260— „ სანტიმი

## თ. დონდუკოვ-კორსაკოვის დანიშვნაზედ

თფილისი, 13 იანვარი.

ამ დღეებში მოსულის ტელეგრამმიდამ გარდაწყვეტით შევიტყეთ, რომ თ. დონდუკოვ-კორსაკოვი დაინიშნა კავკასიის მთავარ-მმართებლად და კავკასიის არმიის სარდლად.

რუსულ გაზეთებში, ამ უკანასკნელ დროს, ძალიან ბევრს იწერებოდნენ საზოგადოდ კავკასიაზე და იმ დამოკიდებულობაზე, რომელიც უნდა იყოს იმასა და რუსეთს შორის, როგორი გამგეობა ეჭირება ახლა კავკასიასაო, რა კავშირით უნდა იყვეს ის რუსეთთან შეკრულიო და სხვ.

„მოსკოვის უწყებანი" და ამის დასის გაზეთები ამტკიცებდნენ, კავკასია იგივე რუსეთიაო, ამისა და რუსეთის გამგეობას შორის არავითარი განსხვავება არ უნდა იყვესო, უბრალო ღენერალ-ღუბერნიტორი, როგორც მაგალითად ხარკოვის, კიევისა, ოდესის და სხვ. უნდა დაინიშნოს კავკასიაშიო, რომელიც ყველაფრით უნდა შეუერთდეს, დაემსგავსოს, შეეხორცოს რუსეთსაო.

სხვა გაზეთები, და მათ შორის „პორიადოკი", ამათ წინააღმდეგ ამტკიცებდნენ და ამტკიცებენ, რომ კავკასია ერთობ მოშორებულია შუაგულ რუსეთზე, ერთობ განსხვავებულია ჩვენგან, როგორც ბუნებით, აგრეთვე ერის ხასიათით, ენით, ჩვეულებით და სხვა ყველაფრითაო და ამის გამო იმას განსხვავებული გამგეობა ეჭირებაო; არ შეიძლება იმის გამგეობა ისე, როგორც რუსეთის რომელიმე შუაგულ გუბერნიისაო და სხვ. და სხვ.

აი რას ამბობს გაზ. „პორიადოკი" ამ საგნის შესახებ (№ 5):

„თ. დონდუკოვ-კორსაკოვი თითქმის იმავე უფლებით აღჭურვილი მიდის კავკასიაში, რა უფლებითაც დიდი მთავარი ნამესტნიკი იყო, ამაში გვარწმუნებს ჩვენ ის გარემოება, რომ თ. დონდუკოვ-კორსაკოვი ინიშნება კავკასიის სამოქალაქო უწყების „მთავარ-გამგებლად" და არა უბრალო ღენერალ-ღუბერნატორად.

„ეს უფლება და ზოგიერთ შემთხვევაში დამოუკიდებლობა რუსეთის ცენტრალურ ადმინისტრაციისაგან (სამინისტროებისავან) დიდ ზნეობით მოვალეობას აძლევს კავკასიის ახალ მთავარ-მმართებელს, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს კავკასიის რიგიანად გამგეობასა. ერობა და ქალაქის თვით-მმართველობა, სარწმუნოებითი და გონებითი თავისუფლება, აღდგენა სტამბისა, ნამდვილი ახალი სასამართლოები, ხალხის განთავისუფლება სამხედრო-ბიუროკრატიულ გამგეობისაგან, ადმინისტრაციის განახლება, ცარცვის სდევნა—აი ყველა ამით შეიძლება დაახლოება, გულის-მოზიდვა და ჭეშმარიტად შეერთება სახელმწიფოს სხვა-და-სხვა ნაწილებისა. სარწმუნოებითის და ნაციონალურ ენებათა აღძვრას, თავის-

«დროების» ფელტონი, 14 იანვარი.

## ქართული საეკლესიო გალობა

კვირას, ამ თვის 10-ს, ანჩისხატის ეკკლესიაში იგალობეს ქართლელებმა კარბელოვებმა. ეს წინად „დროებიდამ" შევიტყეთ, რომ ამ კვირას კარბელოვის გალობა იქნებაო. საკუთრად არ ვიცით, რათ უწოდებენ ამ გალობას კარბელოვისას, როდესაც ეს გალობა ქართლ-კახეთში ყველგან არის და იციან. უკეთესი იქნება დავარქვათ ქართლური გალობა.

საკუთრად რა იყო შესანიშნავი? სულ სამი კაცი გალობდა. ორნი ძმანი კარბელოვები და ერთი მღვდელი, ვგონებთ მამა მღებრიევი. მაშასადამე სრული დასი არ იყო, რადგანაც ქართულს გალობაში ექვსი ხმა უნდა იმყოფებოდეს; სამი ნამდვილი და სამიც იგივე ოქტავით დაბალი.

რა უნდა ვსთქვათ ან ქართლურს გალობაზე ან გურულზე, რომლის დასს შეადგენენ აქამომდე სამიოდ კაცნი? რა განსხვავებაა მათში?

ქართლური და გურული გალობა ორივე ერთი და იგივე ხმაა (მოტივებია); განსხვავება ის არის მხოლოდ, რომ გურული გალობა უფრო გაგრძელებით, ვარიაციებით, ხმის კლაკვნით იგალობება და ამასთან ცხვირში ხმის გამოცემით; ქართლური გალობა უფრო პირად ხმის გამოცემით, გაუგრძელებლად და უვარიაციებოდ, ხმის დაუკლაკვნელად. ქართლელმა მგალობელმა რომ ცხვირში იგალობოს, ხმა დაკლაკნოს და გააგრძელოს, გურული გამოვა; გურულმა რომ პირი კარგა დააღოს და ხმა პირ-და-პირ გამოუშვას, ცხვირიდამ არ გამოსცეს, ქართლური გალობა გამოვა. რასაკვირველია, არის საგალობელი, რომელსაც სხვა-და-სხვა მოტივები აქვს.

ცხადია, რომ აქ მოტივებზე არა ვლაპარაკობთ, მაგალითად წირვის გალობას სხვა-და-სხვა მოტივები აქვს.

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ზოგი მოტივები ქართლ-კახეთში დარჩენილა, ზოგი დავიწყებიათ და გურიაში უფრო დარჩენილა.

ჩვენის აზრით, ორივე კილო ქართლ-კახეთისა და გურულისა უნდა შეერთდეს, ერთ გვარი მოტივები დავიწყებული განახლდეს მცოდნეთაგან.

აგერ ოთხი წელიწადია, რაც პატივცემულმა ყოვლად-უსამღვდელოესმა ალექსანდრემ მიიწადინა ქართული გალობის აღდგენა, შრომა დასდვა, ფული შესწირა ამ საქმეს და სხვებისაც შეაგროვა. საჭირო იყო, რომ ვისაც მინდობილი ჰქონდა, საქმე თადარიგიანად დაეჭირა. მაგრამ დღევანდლამდე ყოველი ხარჯი და შრომა ამ საქმეზე თითქოს უნაყოფოდ რჩება.

არც მგალობლების დასსა ვხედავთ, არც გალობასა.

ვინც ამ ოთხი-ხუთის წლის წინად იყო მგალობელი, ისევ იგინი არიან, ჯამაგირი ეძლეოდათ და სხვებისთვის კი არ უსწავლებიათ. ასე ჰგონიათ, რაკი ქართულს გალობაში სამი ან ექვსი ხმა უნდაო, სამი ან ექვსის კაცის მეტი მგალობელი არ შეიძლებოდეს. არ იციან, რომ პირველი ან მეორე და ან მესამე ხმის მგალობელი შეიძლება თვითოს ორი სამი კაცი ერთად გალობდეს, როგორც ევროპიულ გალობაში.

მგალობლები ასე ჰგონებენ, რაკი ჩვენ სხვებს ვასწავლითო, ჯამაგირს მოგვიკლებენო და ცარიელზე დავრჩებითო. ზოგნი კიდეც ამბობენ, რომ მგალობლები სულ უარზე არიან, არავის არ ვასწავლითო. ერთის სიტყვით, საქმე ჯამაგირზე და ფულის აღებაზე ყოფილა; რის გალობა, რის მგალობელთ დასის შედგენა, რის გალობის გამშვენიერება.

ზოგი ქართლურ გალობას ამჯობინებდა, ზოგი გურულს, ესე იგი ზოგი ერთ მგალობლებისაკენ იყო, ზოგი მეორეთკენ.

როგორცა ჩანს, პატივცემულს ყოვლად-უსამღვდელოესს ალექსანდრეს

უფალ აზრის შიშს და პოლიციურ-ბიუროკრატიული წესს შეუძლიან მხოლოდ შინაგან განხეთქილების ჩამოგდება და სიმძულვარისა, რომლის შედეგი იქნება იმგვარივე აჯანყება და უწესოება, რომლის მოწამეც ჩვენ გივლილ ომის დროს ვიყავით.

„წარსული მოქმედება თ. დონდუკოვ-კორსაკოვისა, განსაკუთრებით იმის მოღვაწეობა ბოლგარიაში, სადაც ის რუსეთის ღენერალურ კამისრად იყო დანიშნული, საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ახალი მთავარ-მმართებელი კავკასიისა იქნება ნამდვილი მიმდევარი თავის სამწყსო ერის წარმატების და განათლების გზაზე დაყენებისა, რომ ის ეცდება მოქალაქობრივი გამგეობა დაამყაროს კავკასიაში და ერთნაირად სამართლიანი და მიუდგომელი ყველა კავკასიის ერთათვის.

„ჩვენ გვგონია, ამ იმედებით მიეგებება თავის ახალ მთავარ-მმართებელს კავკასია და ტფილისი, სადაც, როგორც გვწერენ, ერთი კერძო პირი ამზადებს წერილს ამ ქვეყნის საზოგადო საჭიროებათა ზ და“.

„აზირებული კია, ერთის კაცით მოელოდეს ქვეყანა ყოველ სიკეთეს და წარმატებას, მაგრამ ამისთანაა ახლა ჩვენი მდგომარეობა“.

გაზ. „პორიადოკი“ არ სცდება: ჩვენი . . . . . მხარე სწორედ ამ იმედებით მიეგებები თავის ახალ მთავარ-მმართებელს და რაც უფრო სრულიად და მალე შეუსრულებს თ. დონდუკოვი ამ იმედებს, მით უფრო მომეტებულ თანაგრძნობასა და სიყვარულს დაიმსახურებს ის ჩვენის ქვეყნისაგან.

## დღიური

ბათუმიდამ გვწერენ, რომ თითქმის ყველა მაჰმადიან-ქართველებს, რომელთაც „წერა-კითხვის საზოგადოების“ სკოლაში და იქაურ ნორმალურ სახელმწიფო სასწავლებელში ჰყავდათ შვილები, გამოუყვანიათ იქიდამ შაგირდები და ამნაირად ახლა იმ სასწავლებლებში მარტო მოსული ხალხის შვილები სწავლობენო. მიზეზი ამ გარემოებისა, როგორც გვატყობინებენ, ის არის, რომ ერთს იქაურს ხოჯას (მოლლას) გაუვრცელებია ხმა, რომ ამ სასწავლებლებში გაქრისტიანებას უპირებენ თქვენს შვილებსა და შემდეგ სალდათად წაიყვანენო.

სამწუხაროდ, აღმოჩენილან იმისთანა ცრუ-მორწმუნე პირნი, რომელთაც ეს ჭორი დაუჯერებიათ და, შეშინებულებს, შვილები გამოუყვანიათ ხსენებულ სასწავლებლებიდამ.

* * *

ჩვენმა ქალაქის რჩევამ გარდაწყვიტა ამას წინად სენატში იჩივლოს ტფილისის ადმინისტრაციის განკარგულებაზედ ადრესის სტოლის შემოღებაზედ ტფილისში; მაგრამ, სანამ სენატი განიხილავდეს და გადაწყვეტდეს ამ საქმეს, რჩევამ ამოირჩია დეპუტაცია, რომელმანც კავკასიის მთავარ-მმართებლის თანამდებობის დროებით აღმასრულებელის წინაშე უნდა იშუამდგომლოს, რომ ადრესის სტოლის დაფუძნების განკარგულება შეაჩეროს დრომდინ. როგორც შევიტყვეთ, ხსენებულ დეპუტაციას გ. ტფილისის ღუბერნატორისაგან ჯერ დღემდინ არ მოსულა პასუხი—ინებებს თ. ლ. ი. მელიქოვი იმის მიღებას, თუ არა.

* * *

ჩვენ გვატყობინებენ, რომ ახლად-მიცვალებულ თ. ა. ტ. მიქელაძის ნაყმევ გლეხებსა და ადგილობრივ თავად-აზნაურობას გარდაუწყვეტიათ, მოაგროვონ ფული და მიცვალებულის თანაგრძნობისა და ღრმა პატივ ს-ცემის ნიშნად, დააარსონ იმის სახელობის სტიპენდია ღარიბ ყმაწვილის გამოსაზრდელად.

* * *

გაზ. „შრომა“ გვაცნობებს, ქუთაისში სდგება ქართულ წიგნების გამომცემელი საზოგადოება, რომლის წესდებაც ამ მოკლე ხანში უნდა წარუდგინონ უმაღლესს მთავრობას დასამტკიცებლადაო.

* * *

ამავე გაზეთის სიტყვით, ქუთაისის ქალებს განუზრახავთ იმ გვარივე პატარა წრის შედგენა, როგორიც ტფილისში არსებობს—ქართულ წიგნების შედგენისა და თარგმნის განზრახვით.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**ბორჯომი, ხეობა, 6 იანვ.** მთელ საქართველოში ამ ხეობაზე შემკული კუთხე არ მოიძებნება, სახნავ-სათესი მიწები რომ სამყოფი ჰქონდეს. ხალხი, თუნცა სულ ახალი დასახლებულია, მაინც სხვა კუთხეებზე უფრო შეძლებულია. ამათი შეძლება იმაში მდგომარეობს, რომ მთელი ხეობა მშვენიერი ნაძვისა და ფიჭვის ტყით არის შემოსილი. ამ ხეებს ზიდვენ მტკვარზე და ტივებით ჩააქვთ ქალაქში, რომლითაც სარგებლობენ და თავიანთ ჯაფის ფასს კარგა აჯილდოებენ.

ასე ვახლდათ დღემდის. დღეს კი უკუღმართად „დაუტრიალდათ ბედი.

რომ იტყვიან „უბედურ კაცს ქვა ალმართში მეეწევაო“ [illegible] ისე მოუვიდათ. [illegible] აქ ეხლა ბატონი და პატრონი ამ ხეობისა გახდა მათი უმაღლესობის გამგებელი. ამ დღეებში მე გავიარე ბორჯომის ხეობის ახალდაბაში, სადაც ორმოცამდის კაცი შეყრილიყო და თავიანთ ბედ-იღბალს სწყევლიდნენ. ერთი მათგანი ის იყო ბორჯომიდამ ჩამოსულიყო და უამბობდა გამგებელის ბძანებას: „დღეის იქით ვინც ტივს გამოიტანს, ნება აღარავის ექნება გასყიდვისა! გამოტანის ქირას მივსცემო, ტივები ჩემი იქნება; ვისაც მინდა იმას მიჰყიდიო.“

ამ გამოცხადების ერთი კვირის შემდეგ კიდევ მამიხდა ახალდაბაში გავლა, იქიდან ნეძვის ხეობისკენ, საიდანაც გამოდის 10-დან 18 ვერშოკიანი უშველებელი ნაძვის ხე. შესდგამთ თუ არა ამ ხეობაში ფეხს, ხუთი-ექვსი ვერსის სიშორეზე, ას ულელზე მეტი დარჩეული ხარ-კამბეჩი გაბმული ეზიდება ტივის ხეს. უცებ შესდგება ეს ამოდენა ქარვანი და შესცქერის წინა მავალს, რადგან ვერსად აუქცევს. ახლა უნდა უცქიროთ იმის საცოდაობას; ამ გათოშილ წყალში უნდ კამბეჩებს წინ ჩამოუძლვეს; საცოდავი კამბეჩიც ფეხს ვერ იკიდებს, რაც ძალა და ღონე აქვს ასკდება სალსავით ყინულს და იჩეხება, იღბალი, თუ მეხრემ მოასწრო გამოძრომა, თუ არა კამბეჩზე უარესი დღე იმას დაადგება. ჩემდა საუბედუროდ, სწორეთ იმ დროს ავიარე იქ, სადაც კამბეჩსა და კაცს ცოცხალ-კვდარს ათრევდნენ წყლი-

კეთილი სურვილი ვერ აუსრულეს. მომავალშიაც გარემოება თუ ასე დარჩა, არაფერ ნაყოფს არ გამოიღებს, ხარჯი ტყუილად გაიფანტება და ფულის შემწირველთაც გულს აუცრუებს.

როგორც გალობის დასის საქმე უნაყოფოდ დარჩა, მეორე საქმე, გალობის ნოტების დაწერაც უქმად ჩავიდა. ამბობენ, მაჭავარიანი და ცამციევი შესდგომიან და კიდეც დაუწერიათ ნოტებიო. მაჭავარიანს წინადვე ჯერ აუსრულებელის საქმისათვის ორმოცი თუმანი მიელოვო. ჩვენ კარგად ვიცით, რომ მაჭავარიანმა ქართული სიმღერები დასწერა და დაბეჭდვინა კიდეც. აღმოჩნდა, რომ ამ ნოტებით არც სიმღერა შეიძლება, არც რამე საკრავზე დაკვრა; მაჭავარიანმა გამოიჩინა სრულიად უცოდნელობა მუზიკის სულ პირველის ანბანისა. უეჭველად ცამციევიც ამ გვარი დამწერი უნდა იყოს. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ, სანამ მალე მუზიკის სკოლაში გაწვრთნილი არ იყოს, საკუთრად მუზიკის ერცელი სწავლა არ მიეღოს კაცსა, იმას ნოტების წერა არ შეუძლია. ათასი რეგენტები რაღაცა ნოტებსა სჯღაპნიან, მაგრამ იმათის ნაწერის ნოტებით დაკვრა ან გალობა არავის არ შეუძლია, სანამ თვითონ გალობით არ ასწავლონ. ნოტის წერა კი იმისა ჰქვიან, რომ დამკვრელსა და მგალობელს, თავის დღეში რომ არც კი გაეგონოს, ის ხმა დაუკრას. ამ ცრუ-პენტელა რეგენტებს კი სულ სხვა ოინი მოსდით და მათს ნაწერებს ვერავინ ვერა კითხულობს, ვერ არჩევს.

ზემოხსენებულის მთლად ამ ლაპარაკისაგან ის გამოდის, რომ როგორც აქამომდე იყო გალობის საქმე, იმავე მდგომარეობაში არ შეიძლება დარჩეს. სამჯობინარო რამ უნდა მოგვარდეს და საქმე სულ სხვა გვარად დაიწყოს.

პირველად ეს აზრი ებადება კაცს: საიდ უნდა გაიმართოს გალობა, ვინ უნდა იყოს მოთავე?

ნუ თუ მხოლოდ გალობის კომიტეტი და სხვა არავინ?

კომიტეტზე შემდეგ ვილაპარაკებთ და ახლა იმას უნდა დავაკვირდეთ—ს დ იმართება გალობა?

ცხადი საქმეა, რომ, რაკი საეკკლესიო გალობაა, თვით ეკკლესიებში უნდა იმართებოდეს მგალობელთა გუნდი ანუ დასი. აბა მივიხედ-მოვიხედოთ ქალაქში, სომხების და კათოლიკების ეკკლესიებში შევიხედოთ, ვინ არიან გალობის მოთავენი? თვითონ ეკკლესიის სამღვდელოება. ყოველ ეკკლესიის მღვდელ-წინამძღვარი თავისის კრებულით ცდილობენ თავის ეკკლესიის გაბრწყინვალებასა, გამშვენიერებასა თუ გარეგანის შეხედულობით და თუ შინაგანის მოწყობილობით და ამასთან გალობით.

ეს მაგალითი ადვილად დასანახველია.

ვ ნა არ შეუძლიათ მართლმადიდებლის ეკკლესიის მღვდლებს იმათს მაგალითს მიხედონ? ნუ თუ აქაც სულ ფულზეა საქმე მივარდნილი! ქალაქში ამდენი სომხის და კათოლიკის ეკკლესიებში, მგალობლები სულ მუქთად გალობენ მრევლის ყმაწვილები. ვინ ასწავლის გალობას? თვით მღვდლები და დიაკვნები.

მაშასადამე ქალაქის ქართველთ ეკკლესიების მღვდლებს და დეკანოზებსა აქვთ ვალი, იმათი პირდაპირი ვალდებულებაა, როგორც ეკკლესიის გაბრწყინება, აგრეთვე გალობის გამართვა. როცა ასე გარჯებიან, მრევლსაც მიიზიდვენ. ნუ თუ ვერ შეიძლებენ ექვსიოდე ყმაწვილი აპოვონ მრევლში, რომ თავისუფალ დროს სალამოობით საგალობლად მოამზადონ და კვირა-უქმეობით აგალობონ? ეს ძალიან ადვილია ჩვენს ქალაქებშიაც და სოფლებშიაც. ყმაწვილებს გალობა უყვართ, ეჩალისებათ და ძალიანაც მოიწადინებენ. ამ შემთხვევაში მღვდლებს შეუძლიათ შემწეობა სთხოვონ დედ-მამებს, სკოლის მასწავლებელთ. ქალაქ ტფილისში რამდენიმე ქართველთ სასწავლებელია და იმათი მასწავლებელნი ვგონებთ გულიანად დაეხმარებიან, რადგანაც იციან, რომ გალობა ადამიანს ესტეტიკურს გრძნობას უღვიძებს.

მეორეს მხრით საჭირო იქმნებოდა და ვგონებთ უარსაც არა იქმს, რომ სამღვდელო მთავრობას მღვდლებისათვის წინადადება მიეცა გალობის გამართვისათვის ყოველს ეკკლესიაში. ეს იქმნებოდა ერთი გამაბრწყინვებელი საქმე ეკკლესიისა.

მაშასადამე საქმე აქ იმაში კი არა მდგომარეობს, რომ ორი-სამი კაცი ჯ მაგირით ეჭიროთ; საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ყოველს საყდარში მგალობლების დასი, გუნდი შესდგეს ექვსიდამ ათამდის ანუ მეტის კაცისგან, რომელნიც კვირა-უქმეობით უნდა გალობდნენ თავის სამრევლო ეკკლესიაში.

ახლა ქართულ გალობის აღმადგე-

დან*). ხალხი ერთიანად იქ მოგროვილიყო და ყვიროდა.

„— ეს დალოცვილი უპრავლიაშჩი თითონ კი ოთხ ცხენიანი კალასკით კი შოსეს გზაზე დასეირნობს, ამის თოობა კი არ შეუძლიან? ჩვენვე გამოგვირიცხოს ტივების ბაჟში მეტი ფული, ოღონდ ზამთარ-ზაფხულ ამ საცოდაობას მოგვარჩინოს და ეს გზა გააკეთებინოს. როცა თავის სასარგებლოა ისე გვეჩინჩება, თავს გვიქონამს, რომ ღმერთმა შეარცხვინოს იმისთანა კაი გახეხილი დალალი. მაგ დალოცვილს სულ თავის ჯიბისკენ უჭირამს თვალი, იმ საცოდაობას კი არ უცქერის. ვაჟო! ვილაც ვასილევთან გადუბამს კუდი, ამ ჩვენ ნაშრომს, ოფლით ნიზიდ ხეს თქვენ აღარ დაგანებებთო, მე თითონ გაჰყიდიო. თქვენ თქვენ ქირას მოგცემთ ტივზე 3 თუმნიდან 8 თუმნამდინაო. აბა ეგ არის სამართალი. აი ამ საცოდავს ოც თუმნიანი კამბეჩი უკვდება. ივითონაც მორჩება თუ არა, ღმერთმა იცის. ეგ არის, ხუთ თუმანს მიიღებს შრომის ფასსა. ახლა ამ ჩვენ ნაშრომს ტივებს, ჩვენ დაუკითხავად ზოგს განჯას ჰყიდიან, ზოგს ბათუმს და ზოგსაც ვინიცის სადა. თხის პატრონს აღარც თხის კუდიო! შიგ ბორჯომში ხომ შეშას არავის აყიდინებს და თავას. ყველაფერი იმის ხელშია და როგორც უნდა, ისე ჰყიდის. სადა კაი სათივეებია, მას აქვს დაჩემებული. კლდიანი ადაგები კი არა შურს ჩვენთვის, ღმერთმა ნუ მოუშალოს. არა, შვილო, ჩვენ აქ აღარ გვედგომინება. ექამდის კიდევ შრომის ფასი გვრჩებოდა, ტივზე 3 თუმნიდან 5 თუმნამდის ბაჟს ვიხდიდით, 15 თუმნიდან 25 თუმნამდის ჩვენა გვრჩებოდა. ახლა თითო ტივზე, რომლის მოჭრას, გზამდის ჩამოყრას, მტკვარზე ჩატანას ოთხ-ოთხი, სამ-სამი თვე უნდებით, სამი ან რვა თუმანი უნდა მოგვცეს. თავათ კი ოცი, ოც-და-ათი თუმანი მოგება დარჩეს. მაგას განა თვითონ ველიკი კნიაზი უყაბულებს. ეგ არის ჩვენი ხეობის უბედურება, რომ ის წაბრძანდა. როცა აქა ბრძანდებოდა, ყოველთვის პირ-და-პირ შევჩივლებდით ჩვენ დარდსა. ახლა ვილასთან უნდა ვუჩივლოთ. ან კი ვინ დაგვიწერს იმისთანა ქაღალდს, რომ ჩვენი ტივებისა არ იყოს, აელაბრის მორევი არსად შეხვდეს და არ დააყურჭუმელაოს!“

ამ გვარი სიტყვები და საჩივრები ისმის ბორჯომის ხეობის ხალხისაგან და გამკითხავი, პატრონი კი არავინა ჰყავთ.

*) ამნაირი უბედურობა ყოველ წლივ ხშირია.

## პასუხი კ. ხ. მამაცოვს

თქვენი ღია წერილი, რომელიც დაბეჭდილი იყო „დროების“ № 3-ში ამა წელსა, წავიკითხე.

რადგანაც ჩვენს საქართველოში თქვენ ბრძანდებით კეთილ პირად ნაცნობი და საზოგადო საქმისათვის სასარგებლოდ ხმის ამომღები, ამისათვის თქვენისთანა პირისაგან გამოთქმული აზრი არ შეიძლება რომ იყვეს უსაფუძვლოდ თქმული.

მადლობას მოგახსენებთ, რომ მასმენთ ჩემს ნაკლულევანებას, ვითომც ჩემის საქმეების გადამკიდე საზოგადო სასარგებლო საქმეს თავი დავანებე, ესე იგი რუსის ამხანაგობას. ახლა გთხოვთ მომისმინოთ მეც ჩემის თავის გასამართლებლად.

თქვენის დამტკიცებით ოთხი წელიწადი მიშრომია ამხ ნაგობა, დავადგინე, თქვენის შემწეობით, როგორც მოითხოვდა ჩვენი წესდება, შეიტყო ყველამ რა სარგებლობა მოაქვს ამისთანა ამხანაგობას, გაიგეს როგორ უნდა აწარმოვონ, ამოვარჩიეთ საიმედო პირნი მართველნი, ბუღალტერი, მოგვცეს იმედი, დაუნიშნეთ საკმაო ჯამაგირები და რიგი იყო, რომ ესენი გარჯილიყვნენ, ამათ ეშრომათ.

ვინ წარმოიდგენდა, რომ იპოვებოდნენ ისეთნი პირნი, როგორც დღეს ზემოხსენებულნი არიან, რომ არ იგრძნობდენ თავიანთ საკუთარ სარგებლობას მაინც, ნურას ვიტყვით საზოგადო სარგებლობაზედ.

თქვენც დამეთანხმებით, რომ ჩემის მხრით მეტი იქნებოდა ამ საიმედო პირების ამორჩევის შემდეგ, მეც ჩავრევულვიყავი, რადგან ამათი ტვირთი არ არის ძნელი ასაწევი. კიდევაც ვიტყვი, ამ პირებს არა უჭირთ-რა, თუ ცოტათი ისურვეს ჯაფის მიღება გულით და გრძნობით მიდევნა საზოგადო საქმისა.

ახლა ჩემის მხრით მეც გთხოვთ, თქვენი კეთილი შრომა და ყურადღება არ მოუსპოთ რუსის ამხანაგობას და მხოლოდ მაშინ ვიქმნებით სრული დარწმუნებული, რომ იმას ვნება არა მიეცემა-რა.

ნ. დიასამიძე.

იანვრის 12-ს.

სოფ. სქაშეთიდგან.

## ნარევი

ერთს ინგლისურს გაზეთში შემდეგი ცნობები სწერია ჩინეთში ცოლ-ქმრობის გაყრაზედ. გაყრის უმთავრეს მიზეზებად ითვლება შვიდი დანაშაული და უუმთავრესი ამათში არის ცოლისაგან შეურაცხყოფის მიყენება დედა და მამამთილისა; შემდეგ უშვილობა, სიცრუვე, ეჭვიანობა და ორგულობა. ეჭვიანობა ორგულობაზედ უფრო დიდ დანაშაულად ითვლება ჩინელებში, ეჭვიანობა სიგიჟეს ამტკიცებსო და გიჟთან ცხოვრება არ შეიძლებაო.

* * *

ერთი ამერიკული გაზეთის სიტყვით, მთელს დედამიწაზედ გამოდისო 34,274 გაზეთი. ამ რიცხვიდამ ევროპაში გამოდის 19,577 გაზეთი, ჩრდილოეთ ამერიკაში—12,400, აზიაში—715, სამხრეთ ამერიკაში—609, ავსტრალიაში—661 და აფრიკაში—132. ამათგან ინგლისურს ენაზედ გამოდის 16,500 გაზეთი, ნემეცურზე—7,800, ფრანცუზულზე—3,850, ესპანიურზე—1,600 და სხვ.

* * *

მოკლე ხანში ვენაში უნდა გამოიცეს ერთი შესანიშნავი გამოცემა—გაზეთი რამდენიმე ენაზედ შემდეგის სახელით: „ხალხთა შორის, კოსმოპოლიტიკური, ცენტრალური გაზეთი ვენისა—ორგანი ყველა განათლებულ ერთა, ყველა სპეციალურ წრეთა და ყველა თანამედროვე, პროგრესსიულ და საზოგადო სარგებლობათა ინტერესებისათვის“. გაზეთის მიმართულებაზედაც შემდეგი რეკლამაა: „თავისუფალი აზრი, პროგრესი კოსმოპოლიტობა, პატრიოტობა, ჭეშმარიტება, სიმართლე, ქრისტიანური გულკეთი-

---

ნელს კომიტეტზე მოვიხსენოთ რამდენიმე სიტყვა.

აგერ მეოთხე წელიწადი იქნება, რაც დაფუძნდა კომიტეტი მაღალყოვლად უსამღვდელოესის ეგზარხოსის ნება დართვით. ამ კომიტეტს განზრახვათა აქვს აღადგინოს ქართული საეკლესიო გალობა, და ყველა ხმები ნოტებზე გადაადებინოს დასაბეჭდად. კეთილი და პატიოსანი აზრი აქვს. მეცადინეობა და ხარჯიც გასწია, მაგრამ გალობის საქმე დღევანდლამდე იმავე მდგომარეობაშია დარჩენილი, როგორც კომიტეტის დაარსების წინად იყო: ეკკლესიებში რაც წინად გალობა იყო, ახლაც ის არის; ჯამაგირით დაჭერილი მგალობლები თავის ჯამაგირს იღებდნენ და არც ერთს ეკკლესიასთან მგალობელთ გუნდი ვერ შეადგინეს; კომიტეტმა ნოტები დააწერინა და ვერ გამოდგა.

ესეები კომიტეტს, რასაკვირველია, გამოუცდელობისაგან მოუვიდა. მაგრამ, რადგანაც მისის კეთილის აზრის წარმატება გვსურს, არ შეგვიძლია, რომ აქ ჩვენი წინადადება არ გამოვსთქვათ მისს სასარგებლოდ.

ჩვენის აზრით, საჭირო საქმე იქნება, რომ:

1) კომიტეტმა თფილისის მღვდლები მიიწვიოს და წინადადება მისცეს მგალობლების გუნდები გამართონ ყველამ თავის ეკკლესიებთან ისე, როგორც ზემორე მოვიხსენიეთ

2) ჯამაგირით იყოლიოს ერთი ან ორი კარგი მცოდნე სხვა-და-სხვა ხმებისა, სხვა-და-სხვა წირვა-გალობისა; ისეთი რომ სხვების სწავლებაც შეეძლოს და ვალად დასდვას, რომ კომიტეტის ბრძანებით ჯერ ერთის ეკკლესიის გუნდს ასწავლოს, მერე მეორე ეკკლესიისას. ამ გვარად ჩამორიგებით, ქალაქის ყველა ეკკლესიებს ჩამოუაროს, თვითოეულს რამდენსამე თვეს თავს დაადგეს. ვალად დაედვას, რომ მგალობელთ გუნდი თან არ იტაროს და ერთის ეკკლესიიდამ მეორეში არ გადიყვანოს. გუნდი შედგენილი იყოს არა ნაკლებ ექსის, ან ათის კაცისა.

3) ყოვლად-უსამღვდელოესს ეგზარხოსს სთხოვონ, რომ მიწერილობა გაუგზავნოს ქართლ-კახეთის და იმერეთს—ყველა საქართველოს სოფლებში და ქალაქებში მღვდლებს, რომ ეკკლესიების გასაბრწყინებლად ყველამ თავის ეკკლესიაში მგალობელთ გუნდი გამართონ არა ნაკლებ ექვსის კაცისა. ამასთანავე მღვდლებმა სოფლის მასწავლებლებს სთხოვონ დახმარება ყმაწვილებისა. შეიძლება ყოვლად-უსამღვდელოესს სთხოვონ, რომ თფილისის და ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორებს მიწერილობა გაუგზავნოს სკოლის მასწავლებელთა დახმარების თაობაზე.

4) ნოტებზე გალობის გადასაღებად უნდა მოწვეულ იქმნას კარგი მცოდნე მუზიკისა. თფილისში იტალიანელები ბევრნი არიან, რომელნიც ყველა ხმების ნოტებსა სწერენ. საჭიროა თფილისის მუზიკალურს საზოგადოებას სთხოვონ შემწეობა, რომ ნოტების დამწერის მოწვევაში მონაწილეობა მიიღონ, აგრეთვე დაწერილის გასინჯვაში. არიან ქალაქში რამდენიმე ჩვენებური კაცები, რომელთაც მუზიკა კარგად იციან: ბატონი სავანელი, მიზანდარი, ალიხანოვი. არა გვგონია, რომ, თუ ბეჯითად მიიწვიეს, ამათ უარი სთქვან. საზოგადოდ ნოტებზე გადაღების საქმე მუზიკალურის საზოგადოების და კაცების დაუკითხავლად შეცდომა იქნებოდა. ამას ვიტყვით, რომ ფულის მძებნელი ბევრი გამოჩნდება, რომ მე დავწერო; გამრჩევიც უნდა იყოს, თორემ მაჭავარიანსავით და სხვა რეგენტებსავით მთხოვნელებზე და მჯღაბნაეებზე ფულის გადაყრა ცოდვაა.

საბოლოოდ ამას ვიტყვით, ჯერ პირველად საჭიროა ეკკლესიებში მგალობელთა გუნდები დაფუძნდეს. როცა ეს საქმე გაიმართება, ნოტების წერა მერე შეიძლება. თუ ერთი სრული გუნდი არა გყავთ, სვინიდისიანი ნოტის დამწერი არც კი შეუდგება წერასა. თავისით ხომ არ მოიგონებს; თუ სრული ხმებით შეწყობილი გალობა არ გაიგონა, როგორ დასწერს?

ვისურვებთ სულითა და გულით საქმე კარგა წარმართულ იქმნას. იმედია, თუ კომიტეტი ბეჯითად შეუდგა ამ მოსაზრებასა, უეჭველად საქმე კარგა გაიმართება.

ჩვენ არ ვიცით კომიტეტში წევრებად ვინ არიან. მაგრამ გვგონია, ქალაქის ყველა ეკკლესიების მღვდლები ხანდახან რომ მიწვეულ იქმნან, კარგი იქნებოდა. აგრეთვე კომიტეტს თვეში ან ორ თვეში ერთს დღეს დანიშნულს რიცხვს რჩევისათვის საერო კაცთაგან მცოდნე კაცები რომ მიეწვია, სასარგებლო იქნებოდა.

ანჩხატელი.

ლობა, მიუდგომლობა, წესიერება, ბრძოლა ყოველი ერის უფლებისათვის, მიუხედავად მისის შთამომავლობისა, რჯულისა და მდგომარეობისა,—აი მიმართულება ჩვენის გაზეთისაო“. გაზეთი დაიბეჭდება 12 ენაზედ.


# განცხადებანი

—

არწრუნის თეატრში

კვირას, 17 იანვარს

ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

## არსენა

დრამა 3 მოქმ. თხზ. ა. მიჩხუბარიძისა.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასაში.

ფასები დაკლებულია.

დასაწყისი $7 \frac{1}{2}$ საათზე

---

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **იყიდება:** პაპ-ოსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—56)

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციულს ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაისგასასყიდლად პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შხო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სურისისა (გემრიელი კლემჩივინი ზეთისა) და სხვ. საავენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ხულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭავანას სიგარები. (100—63)

---

ი. მურადოვის

წიგნის მაღაზიაში

## ქუთაისში

მუდამ არის დამზადებული საკმაოდ ყოველ გვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვებად სავაჟო და საქალებო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სამოსწავლო და სკოლაში სახმარო ნივთები და მოთხოვნილებისა დაგვარად დახაზული რვეულები, ასი—5 მანეთი., მუზიკალური ნოტები, სხვა და სხვა საწერი ნივთები და მასალეები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ აასრულებს და გამოგზავნის პირველივე წამომავალი ფოშტით. (50—40)

---

1882. **ПРИНИМАЕТСЯ ПОДПИСКА** 1882.

на литературно-художественный журналъ

# МОСКВА

**Роскошное иллюстрированное еженедѣльное изданіе.**

Картины и текстъ журнала будутъ печататься въ форматѣ БОЛЬШИХЪ заграничныхъ иллюстрацій на РОСКОШНОЙ, исключительно для изданія заказанной бумагѣ. Для печатанія картинъ и рисунковъ журнала пріобрѣтены изъ Лейпцига двѣ скоропечатныя машины новѣйшей конструкціи.

Въ художественномъ отдѣлѣ журнала постоянными сотрудниками будутъ: профессоръ живописи В. В. Пукиревъ, академики: А. К. Саврасовъ, К. А. Трутовскій, С. И. Грибковъ; классные художники: Н. А. Богатовъ, К. В. Лебедевъ. Н. С. Матвѣевъ и художники: Турлыгинъ, Клангъ, Святославскій, Левитанъ, Россовъ, Самойловъ, Рябушкинъ и многіе другіе.

Въ 1882 году будетъ помѣщено болѣе двухъ сотъ картинъ, исполненныхъ цвѣтными тонами, карандашемъ и другими способами; двѣнадцать роскошныхъ премій (величина двойной форматъ журнала), сюжеты которыхъ будутъ изображать исключительно русскую жизнь, какъ изъ быта современнаго общества, такъ и изъ исторической жизни русскаго народа.

Для 12-ти премій, редакціею пріобрѣтены уже картины слѣдующаго содержанія:

1) Святки въ деревнѣ; 2) Въ походъ, рисунокъ изъ временъ XVI столѣтія; 3) Сборы невѣсты къ вѣнцу; 4) Послѣ пляски Иродіады; 5) Подъ сѣнью ивъ (акварель); 6) Проводы молодыхъ въ опочивальню, рисунокъ изъ временъ XVII столѣтія и другіе

Для рисунковъ цвѣтными тонами пріобрѣтены слѣдующіе сюжеты:

«Тятенька загулялъ», Маленькая нянька, Кухня на толкучкѣ, Свиданіе, Русалки Москвы-рѣки, Голодный, Пѣстунья, Смертъ коня Мазепы, Лямка, «Разъ въ крещенскій вечерокъ», Съ купанья, Подъ черемухой, Съ пашни, Безъ хлѣба и денегъ Деревенская колудня, У станціи, Одинъ изъ потомковъ Батыя, На службу, Маленькіе птицеловы, Докладъ, Во ржи, Въ вагонѣ конной дороги. Господа уѣхали, Сдача рекрутовъ, Выборъ царской невѣсты, Отжившіе, Моціонъ Крестины, Дуэтъ, Нищіе въ селѣ, Елена у мельника (Князь Серебряный), Приданое, На поединокъ, Максимъ и Князь Серебряный и многіе другіе

Кромѣ вышеупомянутаго, въ теченіе года будутъ помыщены иллюстраціи къ разсказамъ, портретовъ выдающихся дѣятелей и современныхъ знаменитостей, виньетокъ и проч. и проч.

Журналъ «Москва» имѣетъ самую широкую, утвержденную правительствомъ программу.

Въ настоящемъ году, въ литературномъ отдѣлѣ его, кромѣ хроники общественной жизни, литературнаго обозрѣнія и театральнаго фельетона, будутъ напечатаны: два вполнѣ законченныхъ иллюстрированныхъ романа изъ наиболѣе интересныхъ произведеній извѣстныхъ современныхъ писателей (иллюстрированіе романовъ рисунками въ краскахъ приняли на себя художники: Боготовъ, Лебедевъ, Святославскій и Россовъ). Печатаніе одного изъ нихъ начнется съ первыхъ же №№ журнала.

Въ отдѣлѣ для легкаго чтенія будетъ помѣщено множество повѣстей, разсказовъ, бытовыхъ сценъ, очерковъ, стихотвореній, поэмъ и т. п.

Отдѣлъ смѣси будетъ заключать въ себѣ: анекдоты, остроты, новѣйшія открытія и изобрѣтенія, новости модъ, полезные совѣты, случаи изъ жизни знаменитыхъ людей, объясненія къ картинамъ и пр и пр.

На обертҍ журнала постоянно будутъ печататься послѣднія извѣстія о наиболѣе важныхъ событіяхъ изъ міра политическаго и общественной жизни, телеграммы и пр. Каждому наиболѣе выдающемуся событію, какъ напр. предстоящее въ 1882 году освященіе въ Москвѣ Храма Христа Спасителя и открытіе художественно-промышленной выставки, будетъ отведено значительное мѣсто на страницахъ нашего журнала, при чемъ текстъ будетъ сопровождаться иллюстраціями, исполненіе которыхъ приняли на себя художники: Боготовъ, Турлыгинъ, Рябушкинъ, и художникъ-фотографъ М. М. Самойловъ.

Для литературнаго отдѣла журнала редакціи обѣщали свое сотрудничество: М. И. Альбовъ, К. С. Беренцевичъ, А. С. Кругловъ, Д. Д. Минаевъ, А. Н. Молчановъ. В. И. Немировъ-Данченко, Л. И. Пальминъ (Марало Іерихонскій, Трефовый король), И. А. Вашковъ, Е. М. Гаршинъ, Ф. В. Черниговцевъ (псевдонимъ), И. Н. Измайловъ (Баронъ Иксъ), К. Львовъ (псевдонимъ), М. М. Михайловичъ (псевдонимъ), Н. А. Хлоповъ, Н. А. Чмыревъ и многіе другіе.

Годовые подписчики на журналъ «Москва» получатъ кромѣ 12-ти премій еще одну большую, исполненную масляными красками картину: «**БУРЛАКИ НА ВОЛГѢ**».

Въ концѣ года всѣ гг. подписчики получатъ большой роскошный стѣнной календарь.

Журналъ «Москва» будетъ выходить подъ редакціей Е. С. Сталинскаго и при ближайшемъ участіи Л. И. Пальмина.

## ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

| | |
|---|---|
| На годъ съ доставкой и пересылкой . 8 руб. | На годъ безъ доставки и пересылки . 7 руб. |
| На полгода „ „ „ . . 7 „ | На полгода „ „ „ . . . 4 „ |

Подписка принимается въ конторѣ редакціи журнала «МОСКВА» (Пречистенскій бульваръ, домъ Грачева) и во всѣхъ извѣстныхъ книжныхъ и картинныхъ магазинахъ г. Москвы. Гг. иногородные благоволятъ обращаться исключительно въ контору редакціи: Пречистенскій бульваръ, д. Грачева. (3—3)

---

## ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ალაგას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლიტეები, სამურკლი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, პლაშხები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტასტები, პირისახოცი, ცხვირის-სახოცი, ხულქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—**ინგლისის მაღაზიაში.** იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ (*choke bore*) *George Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში. (100—64)

---

## ისყიდება

15,000 თეფში 1 ხარისხისა, თითო 15 კაპ.

12,000 ბროლის სტაქანი თითო 25 კაპ.

10,000 ბაკალი და სტაქანი თითო 10 კაპ.

10,000 ფოდნოსი და გასალები თითო 15 კაპ.

10,000 ნევსი, 8 კ. 40-მდინ ასი.

10,000 პენალი თავის პრიბორით თითო 5 კაპ.

5,000 ბოთლი პორტვეინისა და ხერესის თითო 1 მან.

2,000 არშინი კლიონკა 60 კაპ. 2 მან. არშინი.

2,000 დიუჟინი ყარანდაში და ყალმის ხელი 8 კ. 50 კაპ. დიუჟ.

2,000 გირვანქა ინდოეთის ბრინჯი 7, 8, 10 კაპ. გირვ.

1,000 გირვ. თვალთ-მაქცი ლეპიოშკა 50 კაპ. გირვ.

600 ინგლისის რევოლვერი 4 მან. 34-მდი.

300 ინგლისის თოფი თითო 20—100 მან.

დრაპი, მაუდი, ტრიკო, ალბომები, საზამთრო პალტოები, ქუდები, შარვლები და ტანისამოსი ნახევარ ფასად. **ინგლისის მაღაზიაში.** (40—21)


*Дозволено цензурою. Тифлисъ,* 12 *Января 1882 г.* *Типографія С. Меликова.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.